http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“დინამო” (თბილისი) - “ლოკომოტივი” მოსკოვი - 0:0

30 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 20 000 მაყურებელი.

მსაჯი: ა. სოხრანსკი (მოსკოვი).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, კიკნაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი (ასლამაზოვი), სომოვი.

“ლოკომოტივი”(მოსკოვი): გრანატკინი, ანდრეევი, სტანკევიჩი, მოშკარკინი, ჟუკოვი, ილინი, სერდიუკოვი, ანდრიასოვი, სოკოლოვი, მიხეევი (ვავილოვი), ტერენკოვი.

“ლოკომოტივი” – “დინამო”

მოსკოვის “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს” მატჩი საკავშირო პირველობაზე, რომელიც 30 ოქტომბერს გაიმართა ლ. ბერიას სახელობის თბილისის სტადიონზე, მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თამაში იყო, მიუხედავად იმისა, რო მის შედეგს არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

შეჯიბრების დაწყებისთანავე წამოვიდა წვიმა, მაგრამ გუნდების მოხდენილმა თამაშმა ისე გაიტაცა 40.000 მაყურებელი, რომ ეს არც კი შეუნიშნავთ.

საერთოდ ცნობილია, რომ თამაშის ტემპის მხრივ თბილისის “დინამოს” კიევის “დინამოსთან” ერთად პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. 30 ოქტომბრის მატჩმა ცხადჰყო, რომ მათ არ ჩამორჩება მოსკოვის “ლოკომოტივიც”.

მოსკოველებმა თამაში იშვიათად სწრაფი ტემპით დაიწყეს და თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. ისინი თამაშობდნენ კარგი სპორტული აზარტით და მთელ თავის უნარს აქსოვდნენ თამაშში. სისწრაფემ, საკმაოდ მაღალმა ტექნიკამ და კოლექტიურმა თამაშმა შეჰქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ ბატონ-პატრონნი მინდორზე ლოკომოტიველები შეიქნენ. რომ ვ. ჯორბენაძის, გ. ჭუმბურიძის და შ. შავგულიძის ძლიერი თამაში არა, პირველი ტაიმი შეიძლებოდა თბილისის “დინამოს” მარცხით დამთავრებულიყო.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. დააწვნენ თბილისელები. მთელი 20 წუთის განმავლობაში ბურთი არ მოშორებია მოსკოვის კარს. დინამოელები კორნერს კორნერზე ურტყამენ, მაგრამ უშედეგოდ. ნ. სომოვმა ორი ნაბიჯიდან ვერ შეაგდო გოლი. მე-22 წუთზე ბ. პაიჭაძემ მაგრად დაარტყა კარში, მაგრამ ვ. გრანატკინმა ლამაზი ნახტომით დაიჭირა ბურთი.

შემდეგში ლოკომოტიველებმა გამოასწორეს მდგომარეობა და ბევრი სახიფათო მომენტი შეჰქმნეს თბილისის კართან, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

ასეთ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა მთელმა თამაშმა. მიუხედავად იმისა, რომ ვერცერთმა მხარემ გამარჯვებას ვერ მიაღწია, მატჩი მაინც ფრიად საინტერესო და მიმზიდველი იყო.

საუცხოოდ თამაშობდნენ ლოკომოტიველები ანდრეევი, გვოზდკოვი (მცველები), ნ. ილინი (მარცხენა ჰავბეკი), ანდრიასოვი.

თბილისელებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვ. ჯორბენაძე, შ. შავგულიძე, გ. ჭუმბურიძე, მ. მინაევი.

არ სჩანდა ბ. პაიჭაძე. უკანასკნელი შეჯიბრებები მან მკრთალად ჩაატარა. ამის მიზეზი მისი თამაშის სოსტემაში უნდა ვეძიოთ. პაიჭაძემ ყურადღება უნდა მიაქციოს ამას, თუ არ უნდა შეანელოს თავისი გუნდის წარმატებები.

“კომუნისტი”, 1 ნოემბერი, 1937 წ.